პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 200 (19042) ხუთშაბათი, 30 აგვისტო, 1984 წელი ფასი 3 კაპ.

საქართველოს მრეწველობის წარმატება

როგორც საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო იუწყება, მრეწველობის მუშაკებმა, რომლებმაც ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება, ვადამდე შეასრულეს მეტ წილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის 1984 წლის რვა თვის გეგმა.

შრომით კოლექტივებში გრძელდება ახალი რეზერვების ძიება, რათა კიდევ უფრო გაზარდონ შრომის ნაყოფიერება, შეამცირონ პროდუქციის თვითღირებულება, გააუმჯობესონ სამუშაოთა ხარისხი. დგება რა დიადი გამარჯვების 40 წლისთავის, სტახანოვური მოძრაობის 50 წლისთავის აღსანიშნავ შრომით ვახტზე, ბევრი კოლექტივი იმუშავებს თავის შრომით წარმატებებს, იბრძვის მიმდინარე წლისა და მთლიანად ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის.

• • •

როგორც ქალაქ თბილისის სტატისტიკური სამმართველო იუწყება, რესპუბლიკის დედაქალაქის მრეწველობამ ვადამდე შეასრულა მეტ წილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის მიმდინარე წლის რვა თვის გეგმა. (საქინფორმი).

ტექნიკურ შემოქმედებას — შეუნელებელი ყურადღება!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

აჭარის მეჩაიეები: არის ოთხი წლის გეგმა

აჭარის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, რომლებიც ერთმანეთს ეჯიბრებიან გეგმებისა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებისათვის, დიდ წარმატებას მიაღწიეს: ვადამდე გადალახეს ჩაის ნედლეულის დამზადების მიმდინარე ხუთწლედის ოთხი წლის დავალება.

მოკრიფეს და სახელმწიფოს მიჰყიდეს 268.571 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რაც ოთხი წლის გეგმას 11.936 ტონით სჭარბობს.

ამ წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანეს ქობულეთის რაიონის სოფლების ბობოყვათის, დაგვის, ქვედა აჭყვის კოლმეურნეობების, ოჩხამურის, ჩაქვის მეჩაიეობის საბჭოთა მეურნეობების, ხელვაჩაურის რაიონის სოფლების მახოს, აჭარისწყლის, ქედქედის, მეჯინისწყლის კოლმეურნეობების, სალიბაურის საბჭოთა მეურნეობის, ქედის რაიონის სოფელ მახუნცეთის კოლმეურნეობის მეჩაიეებმა.

ჩაის ფოთლის დამზადება გრძელდება. აჭარელი ჩაის მოყვანის ოსტატები აქტიურად მონაწილეობენ სტახანოვური მოძრაობის 50 წლისთავისა და დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 40 წლისთავის აღსანიშნავ შეჯიბრებაში და გადაწყვიტეს წლეულს მოკრიფონ 71.700 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი გეგმით გათვალისწინებული 66.765 ტონის ნაცვლად. (საქინფორმი).

მეცხოველეობა დამკვრელური ფრონტია

სამტრედიის რაიონის ფ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეობის კომპლექსის შრომითი ბიოგრაფია მიმდინარე წლის პირველი დღეებიდანვე დაიწყო.

მეცხოველეები გეპირდებიან ახლო მომავალში თითოეული ძროხის წველადობა ორი ათას კილოგრამამდე გაზარდონ, რაც საშუალებას მისცემთ სახელმწიფოს მიჰყიდონ წელიწადში 8.000 ცენტნერამდე რძე.

სურათებზე: ახალი კომპლექსის მუშაობის პირველი დღეებიდანვე თავდადებული შრომით თავი გამოიჩინა ვეტტექნიკოსმა ოლღა ქლიბაძემ; პარტბიუროს მდივანი ვასილ გოთოშია, სამტრედიის რაიონის სოფელ ნაბაკევის ფ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეობის კომპლექსის მთავარი ვეტექიმი გივი ბოლქვაძე და მეცხოველე მაგული ქლამაძე ამოწმებენ საზოგადოებრივი ჯოგის მდგომარეობას.

ბ. კიკვაძისა და ა. მამავარიანის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

● მასების კონტროლით: ხალხის ფხიზელი თვალი. (მე-2 გვ.).
● ახალი სკოლები ახალი სასწავლო წლისათვის. (მე-3 გვ.).
● წიგნის თარო: ოპტიმისტური პედაგოგიკა. (მე-3 გვ.).
● საერთაშორისო ცხოვრების ამბები. (მე-3 გვ.).
● გახსნება: ვაჟკაცსა გული რკინისა... (მე-4 გვ.).
● მძლოლი, გზა, ტრანსპორტი: საპირონ ყველამ იცოდეს. (მე-4 გვ.).
● სპორტული ინფორმაცია. (მე-4 გვ.).



საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

დრო იწურება, გავაძლიეროთ ტემპი!

საკვების დამზადება 1984 წლის 27 აგვისტოს მდგომარეობით

რაიონები, ა. ო. და ასსრ	თივა: ფაქტობრივად დამზადებულია ტონა	თივა: გეგმის შესრულება პროცენტობით	თივა: ± შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით	სენაჟი: ფაქტობრივად დამზადებულია ტონა	სენაჟი: გეგმის შესრულება პროცენტობით	სენაჟი: ± შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით	ბალახის ფქვილი: ფაქტობრივად დამზადებულია ტონა	ბალახის ფქვილი: გეგმის შესრულება პროცენტობით	ბალახის ფქვილი: ± შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით
ახალქალაქის	18.385	40	— 4.334	24.570	122	— 609	—	—	—
ბოგდანოვკის	8.137	14	+ 2.820	37.778	149	+ 4.271	—	—	—
ახალციხის	3.022	28	— 527	19.638	196	+ 3.066	—	—	—
ადიგენის	1.607	23	— 973	12.632	126	— 88	—	—	—
ასპინძის	2.487	35	— 374	9.097	303	+ 1.360	—	—	—
ხაშურის	4.571	77	— 80	11.485	107	+ 722	—	—	—
ქარელის	6.745	94	+ 521	9.426	110	+ 382	—	—	—
გორის	11.045	153	+ 2.987	20.618	111	+ 1.455	234	73	+ 159
კასპის	6.747	111	+ 2.679	9.000	107	+ 1.292	—	—	—
ბორჯომის	4.717	22	+ 704	10.157	143	— 561	—	—	—
საგარეჯოს	9.428	65	— 1.140	15.691	98	— 1.318	701	78	+ 306
გურჯაანის	5.171	63	— 829	17.108	86	— 4.636	755	66	— 45
სიღნაღის	7.266	65	— 1.910	33.554	91	— 7.371	808	66	+ 750
წითელწყაროს	9.333	76	— 404	33.488	105	— 412	1.944	74	+ 792
თელავის	2.093	46	— 1.329	6.143	101	— 1.212	56	35	+ 56
ახმეტის	3.340	65	+ 191	12.520	83	— 2.698	120	38	+ 120
ყვარლის	1.785	48	+ 284	5.395	108	— 2.203	—	—	—
ლაგოდეხის	527	18	— 1.346	8.417	84	— 4.938	405	44	+ 225
გარდაბნის	30.300	100	+ 6.483	28.114	100	— 1.257	1.063	106	+ 305
მცხეთის	7.975	177	+ 4.549	14.858	186	+ 6.805	170	43	+ 65
მარნეულის	8.671	38	+ 1.376	18.505	165	— 262	9.367	64	+ 3.992
ბოლნისის	3.714	40	+ 2.001	20.806	242	+ 6.977	—	—	—
წალკის	14.232	34	+ 602	15.469	95	— 2.316	—	—	— 49
დუშეთის	9.090	39	+ 2.827	5.162	110	— 1.748	—	—	—
თეთრი წყაროს	10.554	50	+ 1.338	22.669	126	— 7.174	—	—	—
დმანისის	9.436	32	+ 4.126	19.199	120	— 2.333	—	—	—
თიანეთის	4.722	46	— 488	6.995	117	— 2.311	—	—	—
ყაზბეგის	2.500	18	— 2.200	—	—	—	—	—	—
სამხ. ოსეთის ა. ო.	12.189	30	+ 949	30.016	106	+ 2.090	120	40	+ 32
წყალტუბოს ზონა	1.797	44	+ 60	1.508	63	— 68	361	54	+ 176
სამტრედიის	959	31	+ 104	4.665	120	— 45	210	32	+ 42
წულუკიძის	563	43	+ 140	1.628	148	— 263	—	—	—
ვანის	459	35	— 74	1.450	104	+ 15	—	—	—
მაიაკოვსკის	992	47	+ 139	1.510	101	+ 10	—	—	—
ზესტაფონის	1.550	74	+ 30	2.290	153	+ 353	41	37	+ 41
თერჯოლის	1.032	47	+ 10	3.205	114	+ 5	—	—	—
ჭიათურის ზონა	1.450	63	— 417	1.692	154	— 584	—	—	—
საჩხერის	2.125	66	+ 326	8.206	164	+ 1.114	—	—	—
ორჯონიკიძის	337	15	— 353	25	13	— 5	—	—	—
ტყიბულის ზონა	120	6	— 340	1.092	109	+ 69	—	—	—
ონის	4.360	25	— 152	3.184	159	— 156	—	—	—
ამბროლაურის	3.299	31	— 531	61	9	— 294	—	—	—
ცაგერის	1.758	40	— 593	595	85	— 266	—	—	—
ლენტეხის	9.770	84	+ 4	2.043	204	+ 8	—	—	—
აბაშის	3.273	61	+ 119	9.485	95	+ 4.084	356	40	+ 18
ცხაკაიას	1.187	22	+ 126	6.760	135	— 363	363	58	+ 165
გეგეჭკორის	1.317	32	+ 215	4.072	110	+ 94	414	58	+ 289
ზუგდიდის	1.626	32	+ 127	9.294	101	+ 733	270	63	+ 139
ხობის	993	19	+ 280	4.936	82	— 1.074	51	9	—
წალენჯიხის	545	17	+ 110	2.428	121	— 285	—	—	—
ჩხოროწყუს	675	16	— 124	7.027	201	+ 26	—	—	—
მახარაძის	4.611	55	+ 260	3.254	108	+ 53	—	—	—
ლანჩხუთის	30	1	+ 10	200	8	+ 200	144	31	+ 144
ჩოხატაურის	163	7	+ 70	830	83	+ 325	—	—	—
მესტიის	6.850	38	— 2.318	200	67	— 550	—	—	—
აფხაზეთის ასსრ	9.811	35	— 1.685	18.434	143	— 427	308	39	+ 198
აჭარის ასსრ	5.612	26	— 2.171	3.200	48	— 689	275	61	+ 227
თრიალეთის ს. გ.	386	7	— 48	—	—	—	—	—	—
გომბორის ს. გ.	1.360	23	+ 160	—	—	—	400	—	— 100
სულ საქართველოში	288.799	42	+ 11.997	581.784	116	— 13.009	18.936	62	+ 8.047

სასურსათო პროგრამას — დეპუტატთა ზრუნვა

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტში

ამას წინათ საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა იმსჯელა „რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში საზოგადოებრივი კვების შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს 1982 წლის 25 აგვისტოს დადგენილების შესრულების მიმდინარეობის საქმეში გამოვლენილი ნაკლოვანებებისა და დარღვევების თაობაზე.

...არის საზოგადოებრივი კვების ობიექტი. თითქმის ანალოგიური სურათია საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს სისტემაში, სადაც ეს მაჩვენებელი შესაბამისად შეადგენს — 56,4 და 77,2 პროცენტს.

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ 1981-1983 წლებში დავალებით გათვალისწინებული 1500-ადგილიანი 14 ობიექტის გახსნის ნაცვლად, ფაქტობრივად მოაწყო 970-ადგილიანი 9 ობიექტი. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრომ ნაცვლად 690-ადგილიანი 30 ობ-...

ᲣᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ წლების მთელი რიგი ღონისძიებების მიუხედავად მუშა-მოსამსახურეთა კვების ორგანიზაციის საქმეში ჯერ კიდევ არსებითი ნაკლოვანებები და დარღვევებია. რესპუბლიკის ცალკეული სამინისტროები და უწყებები ჯეროვანი პასუხისმგებლობით არ მოეკიდნენ მუშათა სასადილოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა და...

ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲡᲐᲡᲐᲓᲘᲚᲝᲨᲘ

ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲕᲘᲮᲔᲓᲝᲗ

...რთალის რაიონის საზოგადოებრივი კვების ტრესტის დირექტორს გ. ფანჯავიძეს საყვედური.

სამრეწველო საწარმოთა საზოგადოებრივი კვების ობიექტებში იაფფასიანი კერძების ასორტიმენტის გადიდებისათვის ზო-... ნტროლი სამრეწველო საწარმოების საზოგადოებრივი კვების ობიექტების საქმიანობას, მიიღონ სათანადო ზომები ამ საქმეში სამრეწველო საწარმოთა სახალხო კონტროლის ჯგუფების და საგუშაგოების ქმედითობის გასაძლიერებლად.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲠᲙᲔ

ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲝᲠᲘ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲡ ᲐᲑᲐᲠᲔᲑᲔᲜ

ᲛᲣᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘ

ᲛᲐᲡᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲗ

ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲤᲮᲘᲖᲔᲚᲘ ᲗᲕᲐᲚᲘ

ᲒᲕᲔᲠᲓᲘ № 200

ᲙᲘᲗᲮᲕᲐ ᲣᲞᲐᲡᲣᲮᲝᲓ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲠᲩᲔᲡ

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲛᲐᲠᲐᲒᲓᲔᲑᲐ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲔᲑᲘ?

საზოგადოებრივი აზრის გამოვლინების

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტთან არსებულ საზოგადოებრივი აზრის საბჭოში წლეულს გაზაფხულზე გახშირდა მოქალაქეთა წერილები მოსახლეობის ბოსტნეულით, ხილით მომარაგების პრობლემებზე. წერილების რაოდენობამ იმატა ზაფხულის პერიოდში.

ავტორთა აზრით, ხილბოსტნეულის მაღაზიები ცუდად მარაგდება. ზოგიერთი მათგანი ხშირად ცარიელია. არ შემოაქვთ ხილი, ბოსტნეული. იშვიათი გამონაკლისის გარდა, მაღაზიები ვაჭრობენ უხარისხო პროდუქტებით.

შედარებით უკეთესი ხარისხის პროდუქტებით ვაჭრობენ ცეკავშირის მაღაზიები, ფარდულები, მაგრამ აქ დაწესებული ფასები ძალზე მაღალია და ყველას ხელი არ მიუწვდება.

უკვე დადგა დრო, საკოლმეურნეო ბაზრებში ფასწარმოქმნა რაიმე ფორმით დაემორჩილოს კონტროლს, თორემ რაც დრო გადის, პროდუქტები შესამჩნევად ძვირდება.

საზოგადოებრივი აზრის საბჭო უკვე შეუდგა აღნიშნული საკითხების შესწავლას და „სახალხო კონტროლის გვერდის" ერთ-ერთ უახლოეს გამოშვებაში გამოაქვეყნებს მის შედეგებს.

თქვენ კი, პატივცემულო მკითხველებო, გთხოვთ კვლავ მოგვწეროთ თქვენი მოსაზრებები, წინადადებები, შენიშვნები ამ საკითხების ირგვლივ.

ᲨᲔᲒᲕᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲗ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲡ — 380018, თბილისი, მთავრობის სახლი, რუსთაველის პროსპექტი № 8, საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტი, საზოგადოებრივი აზრის საბჭო.

ᲠᲐᲪ ᲓᲐᲗᲛᲔᲡᲛᲔ, ᲘᲡ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲛᲝᲘᲛᲙᲐᲜ

...ლობის ნათესებისათვის, სამაგიეროდ უკეთოდლებოდ მიუტო-... ტარზე სანახავროდ იყო დარგული.

ᲣᲒᲣᲚᲔᲑᲔᲚᲧᲝᲤᲔᲜ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐᲡ

ᲒᲔᲒᲛᲘᲣᲠᲗᲐᲜ შედარებით შრომის ნაყოფიერების დამატებით გადიდებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების ამოცანის გადასაწყვეტად შემართებით იბრძვის მათაყოვს... რაიონის ბევრი საწარმო და ორგანიზაცია. ამ დიდი ამოცანის შესასრულებლად გარკვეული მუშაობა გასწიეს ადგილობრივი მრეწველობის კომბინატშიც. აქ მიმდინარე წლის პირველ ნახევარში შრომის ნაყოფიერების საგეგმო დავალება შეასრულეს 104,9 პროცენტით, ხოლო თვითღირებულება შეამცირეს 5,2 პროცენტით, მაგრამ, როგორც ეს სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის შემოწმებით დადგინდა, შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და წარმოებული პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის კომბინატის მუშაობა ჯერ კიდევ ნაკლოვანებებით ხასიათდება და ამ მხრივ განხორციელებული ღონისძიებანი მთლიანად არ შეესაბამება პარტიის მოთხოვნებს.

ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის დირექცია (დირექ-...

...შენელოვანი ფაქტორების მოსა-... ...ტემში, 5,... პროცენტს შეადგენს, ხოლო სამკერვალო საამქროში იგი შეადგენს 7,1 პროცენტს, ქურთუკების სამკერვალო საამქროში — 13,3, საგალანტერეო საამქროში — 9,3 პროცენტს. კადრების დენადობა ნაწილობრივ გამოწვეულია იმითაც, რომ კომბინატის ხელმძღვანელობა და უპირველეს ყოვლისა, მომწოდებელი ორგანიზაციები სრულყოფილად და თანმიმდევრულად ვერ უზრუნველყოფენ საამქროებს საჭირო ნედლეულით და მასალებით.

დირექციის მხრივ საჭირო ღონისძიებების არასრულყოფილად გატარების გამო მიმდინარე წლის პირველ ნახევარში შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი შემცირდა 3,7 პროცენტით, ხოლო პროდუქციის რეალიზაციის ზრდის ტემპი —12 პროცენტით.

ᲠᲝᲪᲐ ᲛᲝᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲔᲚᲡ ᲐᲢᲧᲣᲔᲑᲔᲜ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის სახალხო კონტროლის მეთაური ჯგუფი უნარიანად უძღვება ქარხნის სახალხო კონტროლიორთა მუშაობას. მათი აქტიური საქმიანობით ხდება შრომის დისციპლინის განმტკიცება, საწარმოო გეგმების შესრულებისათვის, რეზერვების ამოქმედებისათვის და უყაირათობის წინააღმდეგ ბრძოლა.

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ქარხნის სახალხო კონტროლის მეთაური ჯგუფის წევრი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ბარატ გივი გაჩეჩილაძე, სახალხო კონტროლის ამავე ჯგუფის წევრი ზურაბ ფირცხალაიშვილი და ქარხნის სახალხო კონტროლის მეთაური ჯგუფის თავმჯდომარე თენგიზ ტებნაძე მორიგი რეიდის გეგმას ადგენენ.

თ. ნიკოლაიშვილის ფოტო.

ახალი სკოლები ახალი სასწავლო წლისათვის

(მიმოხილვა)

წელს საგრძნობლად გაიზრდება რესპუბლიკაში სასკოლო მშენებლობის მასშტაბი. შარშანდელთან შედარებით დარგში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების მოცულობის ზრდამ 7,7 პროცენტი შეადგინა და 14 მილიონ მანეთს გადააჭარბა.

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების 1984 წლის გეგმით რესპუბლიკაში გათვალისწინებულია საექსპლოატაციოდ გადაეცეს 20476 ბავშვისათვის გათვალისწინებული 37 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, ამასთან 35 სკოლა შენდება რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სახსრებით. შემკვეთია კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველო. ოთხი სკოლა შენდება შავი მეტალურგიისა და სოფლის მეურნეობის საკავშირო სამინისტროების ხაზით.

14116 ბავშვისათვის გათვალისწინებული 20 სკოლა შენდება საქართველოს მშენებლობის სამინისტროს ძალებით. 6335 ბავშვისათვის გათვალისწინებული 16 სკოლის შენობას აგებენ რესპუბლიკის სასოფლო მშენებლობის სამინისტროს საიჯარო ორგანიზაციები და მხოლოდ ერთი სოფლის სკოლას აშენებს ყაზბეგის რაიონში „საჯკოლმშენის" გაერთიანების ქვეგანაყოფი.

გეგმის თანახმად ახალი სასწავლო წლის დამდეგისათვის რესპუბლიკაში გათვალისწინებულია საექსპლოატაციოდ გადაეცეს 14160 ბავშვისათვის გათვალისწინებული 28 ახალი სასკოლო შენობა, ფაქტობრივად კი 15900-ზე მეტი მოსწავლე მეცადინეობას დაიწყებს ოცდაათ ახალ სკოლაში, ესე იგი რესპუბლიკაში სამოსწავლო ადგილების საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმა 112 პროცენტით შესრულდება.

გეგმის გასწრებით დამთავრდა 520 მოსწავლისათვის გათვალისწინებული თბილისის 126-ე საშუალო სკოლის რეკონსტრუქცია, ვადამდე გადაეცა საექსპლოატაციოდ აგრეთვე ახალი სკოლები რუსთავსა (1256 ბავშვისათვის) და საგარეჯოში (270 ბავშვისათვის).

მთელი რიგი მიზეზების გამო სასწავლო წლის დაწყებისათვის ვერ დამთავრდება მხოლოდ ერთი სკოლის მშენებლობა. ეს არის 260 მოსწავლისათვის გათვალისწინებული სკოლა მაიაკოვსკის რაიონის სოფელ ხანში. მას აშენებს საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 2 ტრესტი. ამგვარად, მშენებლობისა და სასოფლო მშენებლობის სამინისტროები, საექსპლოატაციოდ გადასცემენ რა სწავლის დაწყებისათვის შესაბამისად 10680 და 5238 სამოსწავლო ადგილს, „სასკოლო მშენებლობის" დარგში სიმძლავრეთა ამოქმედების სამი კვარტალის გეგმას შესაბამისად 119 და 100 პროცენტით შეასრულებენ.

ორ-ორი ახალი სკოლა საგეგმო წესით აშენეს აფხაზეთის ასს რესპუბლიკასა და აჭარის ასს რესპუბლიკაში და ერთი — სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში. ახალ შენობებში დაიწყებენ სასწავლო წელს გორელი და ჭიათურელი მოსწავლეები, აგრეთვე თბილისის „ვარკეთილის" საცხოვრებელი მასივის ორი მიკრორაიონის ბავშვები.

ახლად ამოქმედებული ოცდაათი სკოლიდან ოცი აშენდა სოფლად, აქედან ექვსი — მაღალი მთის სოფლებში.

ამჟამად სამშენებლო სამუშაოები ძირითადად დამთავრებულია. მთავრდება სასკოლო ეზოებისა და მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობა, მიმდინარეობს ოთახების დალაგება, ავეჯისა და სასკოლო ინვენტარის შემოტანა.

27 აგვისტოს მდგომარეობით გაფორმებულია 9360 მოსწავლისათვის გათვალისწინებული თხუთმეტი სკოლის მიღების აქტები, დანარჩენი სკოლების მიხედვით აქტები გაფორმების სტადიაშია.

შეინიშნება, რომ საერთოდ სკოლების მშენებლობის ხარისხი შესამჩნევად გაუმჯობესდა, აქ შექმნილია ყველა პირობა იმისათვის, რომ ნორმალურად წარიმართოს სასწავლო პროცესი.

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კაპიტალურ რემონტს წელს დაახლოებით 10 მილიონი მანეთი მოხმარდება. სამუშაოების დაახლოებით 40-45 პროცენტი რესპუბლიკის ძირითადმა სამშენებლო ორგანიზაციებმა შეასრულეს სკოლისათვის საშეფო ან ტექნიკური დახმარების წესით. (საქინფორმი).

წიგნის თარო

ამ ცოტა ხნის წინათ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ოქროს მედალი მიენიჭა შალვა ამონაშვილის წიგნს „გამარჯობათ, ბავშვებო!"

[illegible]

ოპტიმისტური პედაგოგიკა

[illegible]

ბავშვის პიროვნებისადმი დამოკიდებულების პრინციპიდან მომდინარეობს. არის თუ არა ბავშვი მთლიანი პიროვნება? ტრადიციული პედაგოგიკა ამაზე უარყოფითად უპასუხებს. უფრო მეტიც, ჰუმანურ, დემოკრატიულ საწყისებზე სწავლებისა და აღზრდის მოწინააღმდეგე ზოგიერთი მეცნიერი იქამდეც კი მიდის, რომ სერიოზულად აცხადებს: ახლად დაბადებული ბავშვი არ არის პატარა ადამიანი, მინიატიურული ადამიანი. იგი წარმოადგენს მხოლოდ სომატურ, ადამიანისეულ სხეულებრივ არსებასო. ამ მკრეხელური, ანტიმეცნიერული განცხადების აზრი ნათელია: არ უნდა ვიდავოთ საკითხი იმის შესახებ, რომ სკოლაში მოსული ბავშვი პიროვნებაა. თუ მოსწავლე პიროვნებად მივიჩნიეთ, მაშინ ხომ საფუძვლებშივე ინგრევა იმპერატიული პედაგოგიკის პრინციპები.

შალვა ამონაშვილის პედაგოგიური თეორიის ცენტრში ბავშვის პიროვნება დგას. ამიტომ არის, რომ მეცნიერმა იმთავითვე უმთავრესი ყურადღება მიაქცია სწავლის შეფასების ნიშანს, რომელიც არა მარტო სასწავლო საქმიანობის წარმატების საზომად, არამედ აგრეთვე შემეცნებითი აქტივობის სტიმულატორადაც არის მიჩნეული.

„ოცი წლის წინ, როდესაც პირველ კლასში ექსპერიმენტულ გაკვეთილებს ვატარებდი, ცხადად ვიგრძენი, რომ აუცილებელი გახდა მოსწავლეთა ცოდნის ნიშნით შეფასების უარყოფა, — იგონებს ახლა შ. ამონაშვილი. — ვფიქრობდი: უსამართლობაა და მიზანშეუწონელი ნიშანი დაუწერო ბავშვს, რომელიც ეს-ეს არის იწყებს ცალკეული სიტყვების კითხვას, დიდი რუდუნებით გამოჰყავს პირველი ასოები, თვლა-ანგარიში სწავლობს ათის ფარგლებში-მეთქი".

„ უნიშნო სწავლებას" იმთავითვე ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა. ამის მიზეზი უფრო ის იყო, რომ ბევრ სწავლულ პედაგოგს არ სურდა ერთმანეთისგან განესხვავებინა **ცოდნის შეფასება და შეფასების ნიშანი**, სარეცენზიო წიგნში შალვა ამონაშვილმა ნათლად განსაზღვრა ცოდნის შეფასებისა და შეფასების ნიშნის არა მარტო ფსიქოლოგიური, არამედ სოციალურ-პედაგოგიური საფუძვლები და უჩვენა მათი ადგილი და როლი სასწავლო-აღმზრდელობითი

გავს აკადემიურ ღირებულებას: პედაგოგს მასში ნაგულისხმევი აქვს ერთი მნიშვნელობა, მშობლები (და სხვებიც) სრულიად სხვა რამეს ხედავენ. ნიშანი სოციალურ შინაარსს რომ იძენს, სხვადასხვა ნიშანს შორის არსებული აკადემიური გრადაციებიც უფასურდება. მაგალითად, კარგია თუ არა ნიშანი „4" („კარგი")? თუ ხუთოსანმა „4" მიიღო, ეს სკოლის, ოჯახის, ბავშვის შეშფოთებას იწვევს, მაგრამ თუ სამოსანმა მიიღო ოთხიანი, ეს დიდ წარმატებად ითვლება.

ტრადიციული დიდაქტიკა მიიჩნევს, რომ შეფასების ნიშანი შემეცნებითი აქტივობის მასტიმულირებელ ფუნქციას ასრულებს. სინამდვილეში ეს ასე როდია. ნიშანი შემეცნებითი აქტივობის სტიმულატორად კი არა, სასწავლო მოქმედებიანობის მოტივადაც იქცევა. უკვე III კლასიდან მოსწავლეებში ფეხს იკიდებს „ნიშნისთვის სწავლის" ტენდენცია. რისთვის სჭირდება ნიშანი ყმაწვილს? უწინარეს ყოვლისა, იმისათვის, რათა გაიუმჯობესოს თავისი მდგომარეობა კლასში, გარემომცველებში და მხოლოდ ამის შემდეგ — როგორც ცოდნის ხარისხის მაჩვენებელი.

ტრადიციული სწავლება არსებითად ცდილობს (მოწინავე მასწავლებელთა სურვილისა და მიზნისაგან დამოუკიდებლად) მოსწავლეებს აღძრას ინტერესი არა თვით სწავლის, არამედ სწავლის შედეგების ნიშნადი გამოხატულების მიმართ. სწავლების იმპერატიული მეთოდები სწავლებისადმი სხვაგვარ დამოკიდებულებას ვერც იგუებს.

ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ექსპერიმენტული დიდაქტიკის ლაბორატორიამ პრინციპულად შეცვალა მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთდამოკიდებულების შინაარსი და იგი ურთიერთთანამშრომლობის საწყისებზე ააგო: ბავშვი სასწავლო პროცესის სრულუფლებიან წევრად იქცა, რადგან მას აბსოლუტურად ორგანიზებულ სწავლებაში თავისუფალი არჩევანის უფლება მიეცა. სწავლების ამგვარი ორგანიზაციის პირობებში შეფასების ნიშანმა ფუნქცია დაკარგა. მეტიც, იგი ხელისშემშლელ ფაქტორად იქცა და ამოიღეს კიდეც სასწავლო პროცესიდან.

ექსპერიმენტული დიდაქტიკის ლაბორატორიამ შეფასების ნიშანი [illegible]

ბავშვს „უსახელოობის მოდელს" უწოდებს (წიგნში „გამარჯობათ, ბავშვებო!") და ამ გამოთქმაში აკუმულირებულია მისი დამოკიდებულება მათდამი.

პედაგოგიკის თეორეტიკოსთა და პრაქტიკოსთა საგანგებო ყურადღების იქცევს ბავშვის ცხოვრების ორგანიზაცია გაკვეთილზე, რადგან სწორედ იქ ყალიბდება სკოლისა და სწავლისადმი მისი დადებითი თუ უარყოფითი დამოკიდებულება. წიგნის ავტორს ფრიად ორიგინალური თვალსაზრისი აქვს შემუშავებული გაკვეთილზე ბავშვის ცხოვრების ორგანიზაციის თაობაზე. მოკლედ ეს ასე შეიძლება გავიგოთ: პედაგოგის ჰუმანური პოზიცია იმას გულისხმობს, რომ გაკვეთილზე ბავშვი მივიღოთ ისეთად, როგორიც ის უკვე არის, ისეთი ცხოვრებით, როგორითაც უკვე ცხოვრობს და ჩავრთოთ მასთან ჩვენი ურთიერთობის შინაარსში მისი ცხოვრებისა და ბუნების ყოველგვარი გამოვლინება, დავინტერესდეთ ამ ცხოვრებით, გავხდეთ მისი თანამონაწილე. ამგვარი კონცეფციის საფუძველზე ავტორი აკეთებს ერთობ მნიშვნელოვან დასკვნას: „გაკვეთილი სკოლაში უნდა იყოს არა მარტო სწავლების ორგანიზაციის ძირითადი ფორმა, არამედ ბავშვებისა და თითოეული მოსწავლის მთელი ცხოვრების ორგანიზაციის წარმართვის ძირითადი ფორმაც".

შალვა ამონაშვილი გვთავაზობს არა მარტო იმას თუ **რა უნდა გავაკეთოთ**, არამედ იმასაც თუ **როგორ გავაკეთოთ.**

აღზრდისა და სწავლების ჰუმანურ საწყისებზე ორგანიზების მეთოდიკა, ამ მიმართებით მთელი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ტექნოლოგიაა მოცემული შალვა ამონაშვილის წიგნში „გამარჯობათ ბავშვებო!", რომელიც გასული წლის ბოლოს გამოსცა გამომცემლობა „პროსვეშჩენიემ".

ეს არის ნიმუში მეცნიერული პუბლიცისტიკისა, რომელიც არც მხატვრულ ელფერსა და ღრმა ემოციებს არის მოკლებული, სწორედ ამაზე წერს მის წინასიტყვაობაში პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ა. პეტროვსკი: „რა არის ეს — მეთოდური სახელმძღვანელო, დაწყებითი კლასების მასწავლებელთა სასწავლო წიგნი? არა! ჩვენს წინაა პედაგოგიური პოემა, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, შემმართებად პოეტური ნაწარმოები".

ამ წიგნის ერთ თავს „სასკოლო დღის „პარტიტურა" ეწოდება. შეიძლება ითქვას, რომ ეს წიგნი მთელი სასწავლო წლის პარტიტურაა, რომელსაც თან ახლავს ბავშვებთან ურთიერთობის დამოკიდებულების შესანიშნავი მუსიკა, რომელიც მაღალ ჰუმანურ, ბავშვის პიროვნებისადმი ღრმა პატივისცემის ნოტებზეა დაწერილი. ამავე დროს, იგი არის ნიმუში „ოპტიმისტური პედაგოგიკისა", რომელიც ასე ჭირდება დღევანდელ და მომავლის სკოლას.

ზურაბ ცუცქირიძე,
პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი;

მურმან თავდიშვილი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.

უცხოეთში

ფაქტები მოვლენები
საქდესი იუწყება

საზეიმო მიტინგი ბანსკა-ბისტრიცაში

ბანსკა-ბისტრიცა, 28 აგვისტო. (საქდესი). დღეს აქ გაიმართა მშრომელთა და ახალგაზრდობის მრავალათასიანი მიტინგი, რომელიც მიეძღვნა სლოვაკიის ეროვნული აჯანყების 40 წლისთავს.

ტრიბუნაზე არიან ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი გ. ჰუსაკი, ჩეხოსლოვაკიის სხვა პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელები, საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის, საბჭოთა კავშირის მარშლის დ. თ. უსტინოვის მეთაურობით, საზღვარგარეთის სხვა დელეგაციები.

მიტინგზე გამოვიდა გ. ჰუსაკი. სლოვაკიის ეროვნული აჯანყება, თქვა მან, სამუდამოდ დარჩება ხალხის ხსოვნაში. იგი განეკუთვნება ოკუპირებულ ევროპაში ყველაზე მასობრივ ანტიფაშისტურ გამოსვლებს. აჯანყებამ სათავე დაუდო ახალ ისტორიულ ერას ჩეხოსლოვაკიელი ხალხის ეროვნულ და სახელმწიფო ცხოვრებაში, ბიძგი მისცა სახალხო-დემოკრატიულ რევოლუციას და განსაზღვრა მისი მიმდინარეობა.

სოციალიზმი გახდა მშრომელთა მრავალი თაობის ბრძოლის კანონზომიერი შედეგი. ჩვენი ხალხები საკუთარი გამოცდილებით დარწმუნდნენ, რომ მხოლოდ მუშათა კლასს კომუნისტური პარტიის მეთაურობით შეუძლია გადაწყვიტოს ეროვნული თავისუფლებისა და სახელმწიფო დამოუკიდებლობის ფუძემდებელი საკითხები.

სლოვაკიის ეროვნული აჯანყების, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის იდეალების განხორციელებაში, ჩეხოსლოვაკიელი ხალხის დღევანდელ აღმშენე-[illegible]

[illegible] ლი საზოგადოებრივი განვითარების გადამწყვეტ წინამძღვრად, ჩვენი სამშობლოს ბედნიერი მშვიდობიანი მომავლის საწინდრად.

სლოვაკიის ეროვნული აჯანყების 40 წლისთავს აღვნიშნავთ პერიოდში, როცა მსოფლიოს კვლავ ომის საფრთხე შექმნია.

აგრესიულ ძალებს არ სურთ შეურიგდნენ ამას. იმპერიალიზმი, უწინარეს ყოვლისა ამერიკის იმპერიალიზმი, ცდილობს ყოველ ღონე იხმაროს, რათა დაამყაროს მსოფლიო ბატონობა, თავიანთი ნება და წესები მოახვიოს თავს სხვა ხალხებს. ამ მიზნით დაიწყო მან „ჯვაროსნული ლაშქრობა" სოციალიზმისა და პროგრესული ძალების წინააღმდეგ, გამალებული შეიარაღების ახალი რაუნდი, კვლავ ცდილობს დაარღვიოს სტრატეგიული წონასწორობა მსოფლიოში, გადასინჯოს ომისშემდგომი წყობის შედეგები, გამოაცოცხლოს რევანშიზმი.

მშვიდობის დაცვა მოითხოვს ჩვენი სოციალისტური საზოგადოების ძლიერების განმტკიცებას, თავდაცვისუნარიანობის ზრდიდებას, მოძმე სოციალისტურ ქვეყნებთან, პლანეტის მშვიდობისმოყვარე და პროგრესულ ძალებთან ერთიანობის განმტკიცებას. მხოლოდ ამ გზით შეიძლება წინააღუდგეთ საერთაშორისო მდგომარეობის საშიშ განვითარებას, დავუბრუნდეთ მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკას, შევუნარჩუნოთ მშვიდობა ახლანდელ და მომავალ თაობებს.

* * *

შემდეგ გამოვიდა **დ. თ. უსტინოვი.** მან მანიფესტაციის მონაწილეებს, მთელ ჩეხოსლოვაკიელ ხალხს გულითადად მიულოცა და უმაღლესი სალამი უძღვნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის, ჩეხოსლოვაკიის [illegible]

[illegible] ისტორიული პროცესი, რეიგანის ადმინისტრაციამ გამოაცხადა „ჯვაროსნული ლაშქრობა" სოციალიზმის წინააღმდეგ მან მიზნად დაისახა, რადგაც უნდა დაურღვეს, დაარღვიოს სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების, ვარშავის ხელშეკრულებისა და ნატოს სამხედრო სტრატეგიული წონასწორობა თავის სასარგებლოდ, მიაღწიოს მსოფლიოში ამერიკის შეერთებული შტატების გაბატონებულ მდგომარეობას.

ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული პოლიტიკის შედეგად მნიშვნელოვნად გაძლიერდა საფრთხე ხალხთა უშიშროებისადმი, კიდევ უფრო მეტად გაიზარდა იგი დასავლეთ ევროპაში საშუალო სიშორის ამერიკული რაკეტულ-ბირთვული საშუალებების — პირველი დარტყმის იარაღის განლაგების შედეგად.

ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობს სამხედრო კონფრონტაციის ასპარეზად გადააქციოს კოსმოსი. საბჭოთა კავშირმა წამოაყენა კონკრეტული წინადადება — დაიწყონ მოლაპარაკება მისი მილიტარიზაციის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმების შემუშავებისა და დადების მიზნით. მაგრამ ამერიკის ადმინისტრაციამ ფაქტობრივად უარყო იგი, მაცდურ თამაშს მიჰყო ხელი.

ვაშინგტონმა პრაქტიკულად ჩაშალა, ბირთვული შეიარაღების შეზღუდვისა და შემცირების პროცესი, გამალებული შეიარაღების შეწყვეტისა და განიარაღებისათვის მიძღვნილი სხვა მოლაპარაკებანი. ამით მან მთელი სიცხადით დაგვანახვა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები არ აპირებს ხელი აიღოს თავის მილიტარისტულ კურსზე, ფართო მასშტაბის სამხედრო პროგრამების განხორციელებაზე. და მშვიდობის, საბჭოთა კავშირთან, სოციალისტური თანამეგობრობის [illegible]

რომა, დროა გაიგონ: ხალხები, რომლებმაც გამოსცადეს გერმანიის მილიტარიზმის ვერაგობა და სისასტიკე, არასოდეს არ დაივიწყებენ განვლილი ომის მკაცრ გაკვეთილებს. ყველა რევანშისტულ პრეტენზიას ყველაზე მტკიცე და სიკადრის პასუხს ვცემდით და კვლავაც გავცემთ!

საბჭოთა კავშირი, სოციალისტური თანამეგობრობის ყველა სახელმწიფო აქტიურად იბრძვიან გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ, მტკიცედ იღვწიან ომის თავიდან აცილებისათვის. მთელმა მსოფლიომ იცის ჩვენი კონსტრუქციული წინადადებანი, რომლებიც ამ მიზნების მიღწევას ითვალისწინებენ. ამავე დროს ისტორიის გაკვეთილები იმასაც გვასწავლიან, რომ მშვიდობა სამედოდ უნდა იყოს დაცული იმპერიალისტთა ხრიკებისაგან.

შექმნილ პირობებში სსრ კავშირი, მოძმე სოციალისტური ქვეყნები იძულებული არიან განამტკიცონ თავიანთი თავდაცვისუნარიანობა, ამაღლონ თავდაცვითი კავშირის — ვარშავის ხელშეკრულების საბრძოლო ძლიერება.

ხალხთა მშვიდობიანი შრომის სადარაჯოზე ერთიან მწყობრში დგანან საბჭოთა შეიარაღებული ძალები, ჩეხოსლოვაკიის სახალხო არმია, სოციალისტური თანამეგობრობის სხვა სახელმწიფოთა არმიები.

დღევანდელი ზეიმი სლოვაკიის ეროვნული აჯანყების იუბილეს გამო, თქვა დასასრულ დ. თ. უსტინოვმა, იმათი მადლიერი ხსოვნის კიდევ ერთი გამოხატულებაა, ვინც იბრძოდა სამშობლოს განთავისუფლებისათვის, ფაშისტური დამონებისაგან ხალხთა ხსნისათვის. ეს არის ახალი ცხოვრების მშენებლობაში დღევანდელი მიღწევების დათვალიერება, რომლისთვისაც ვიტკივთ რად იბრძოდნენ ინტერნაციონა-[illegible]

დამაჯერებელი მოწოდება

ტოკიო. [illegible] პოლიტიკურ [illegible] ჩერნენკოს სიტყვებისა და სტატიების წიგნს, რომელიც იაპონიაში გამოვიდა.

თვალსაჩინო პოლიტიკურმა მოღვაწემ, იაპონია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარემ, პარლამენტის დეპუტატმა იაპონიის სოციალისტური პარტიისაგან ტ. იოკოიამამ უაღრესად მნიშვნელოვანი და დროული უწოდა კ. უ. ჩერნენკოს მიმართვას იაპონელი მკითხველისადმი, რომელიც წიგნს აქვს დართული. მან განაცხადა, რომ მიმართვაში წამოყენებული წინადადებანი, რომლებიც ეხება საბჭოთა კავშირისა და იაპონიის ურთიერთგანვითარებას, ყურადღებიან და საფუძვლიან შესწავლას და ანალიზს იმსახურებს, როგორც ხაზი გაუსვა ტ. იოკოიამამ, კ. უ. ჩერნენკოს მოწოდება, გაფართოვდეს ორი ქვეყნის ყოველმხრივი ურთიერთობა, უაღრესად დამაჯერებელი, იაპონიის მოსახლეობის ყველაზე ფართო ფენებისათვის ახლობელი და გასაგებია.

ამჟამად, თქვა ტ. იოკოიამამ, იაპონია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოება და სხვა ორგანიზაციები, რომლებიც მხარს უჭერენ სსრ კავშირთან მეგობრობისა და კეთილმეზობლობის განმტკიცებას, აქტიურად ემზადებიან იაპონია-საბჭოთა კავშირის მორიგი „მრგვალი მაგიდის" კონფერენციისათვის, რომელიც მიმდინარე წლის ოქტომბერში უნდა მოეწყოს მოსკოვში. კ. უ. ჩერნენკოს წიგნი დიდად დაგვეხმარება ამ მუშაობაში, შესაძლებლობას მისცემს იაპონელ ხალხს უკეთ გაუგოს თავის მეზობელს — საბჭოთა ხალხს, თქვა ტ. იოკოიამამ.

● ეთიოპია

მზადება დამთავრდა

ადის-აბება. ეთიოპიის მუშათა პარტიის დამფუძნებელი ყრილობისათვის მზადება მთლიანად დამთავრდა, ეს აქ აცნობა ეთიოპიის მშრომელთა პარტიის ხაორგანიზაციო კომისიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ეთიოპიის დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული საბჭოს და მშრომელთა პარტიის ორგანიზაციის კომისიის თავმჯდომარემ მენგისტუ ჰაილე მარიამმა. მომავალი პარტია, განაცხადა მან, იხელმძღვანელებს მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებით, სათავეში ჩაუდგება ქვეყანაში სოციალისტური საზოგადოების აშენებას.

ეთიოპიის ხელმძღვანელმა ქვეყნის მშრომელებს მოუწოდა მუშათა პარტიის დამფუძნებელი ყრილობა ჩაატარონ ნამდვილად ლენინური სულისკვეთებით.

ფოტოფაქტი

თელ-ავივი განაგრძობს დამკვიდრებას დაპყრობილ არაბულ ტერიტორიებზე. მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირის ერთ-ერთ უდიდეს ქალაქ ელ-ხალილში აშენებენ ებრაულ კვარტალს, რომელსაც თელ-რუმეიდა უწოდეს. სამხედრო სატვირთო მანქანებით იქ გადაიტანეს ასაკრები სახლები და სამშენებლო ტექნიკა. სიონისტებს განზრახული აქვთ ქალაქის ცენტრში დაასახლონ 2500-მდე კაცი. ეს ელ-ხალილის ძალმომრეობითი „იუდაიზაციის" პირველი ეტაპია.

სანამ თავიანთი მზაკვრული გეგმის განხორციელებას შეუდგებოდნენ, ისრაელის ჯარებმა ელ-ხალილსა და მის გარეუბნებში ფართო მასშტაბის ჩხრეკა მოაწყვეს. დამსჯელებმა გადაკეტეს საცხოვრებელი უბნები და მოითხოვეს, რომ არაბებს დაუყოვნებლივ დაეცალათ ბინები.

სურათზე: ისრაელი ოკუპანტი ელ-ხალილში მშენებარე ებრაულ უბანთან.

იუპი-საქდესის ფოტო.

ამერიკის ნამდვილი სახე

ჯ. პარისის სიცოცხლე საფრთხეშია

ნიუ-იორკი. ამერიკის ხელისუფლები კვლავ ცდილობენ სამოლოდ გაუსწორდნენ ამერიკელ ზანგთა მოქალაქეობრივი უფლებებისათვის თვალსაჩინო მებრძოლს ჯონ პარისს, რომელიც ალაბამის შტატის ეტმორის საპყრობილის სიკვდილმისჯილთა საკანში იტანჯება.

როგორც საქდესის კორესპონდენტს აცნობა რასობრივი და პოლიტიკური რეპრესიების წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული კავშირის აღმასრულებელმა მდივანმა ფრენკ ჩეპმენმა, ალაბამის სააპელაციო სასამართლოს აშკარად არ სურს განიხილოს ჯ. პარისის ადვოკატთა მოთხოვნები ხელახლა გაარჩიონ მისი „საქმე", რომელიც თავიდან ბოლომდე შეკოწიწეს ადგილობრივმა რასისტებმა გამოძიების ფედერალურ ბიუროსთან ერთად. უდავოა, აღნიშნა მან, რომ „თემიდის მსახურნი" ცდილობენ მიაღწიონ მოქალაქეობრივი უფლებებისათვის ამ მამაცი მებრძოლის მიმართ გამოტანილი სიკვდილის განაჩენის აღსრულებას.

1970 წელს ჯ. პარისი დააპატიმრეს „ქურდობის" შეკოწიწებული ბრალდებით, რომლის საფუძველზეც სასამართლომ მას... სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა, მაგრამ მოქალაქეობრივი უფლებებისათვის მოძრაობის ეს აქტივისტი საპყრობილეშიც განაგრძობდა ბრძოლას უსამართლობისა და რასიზმის წინააღმდეგ, ეწეოდა განმარტებით პოლიტიკურ მუშაობას პატიმრებს შორის. ამან ხელისუფალთა კიდევ უფრო დიდი გაავება გამოიწვია. 1974 წელს ეტმორის საპყრობილეში პროვოკაციულად გამოიწვიეს ამბოხება, რომლის დროსაც დაიღუპა ერთ-ერთი ზედამხედველი. ამისათვის „ბრალი" მაშინვე დასდეს ჯ. პარისს და მას სიკვდილი მიუსაჯეს. მხოლოდ საზოგადოებრიობის გამოსვლების შედეგად გადაიდო განაჩენის აღსრულება.

რასობრივი და პოლიტიკური რეპრესიების წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული კავშირი, აღნიშნა ფ. ჩეპმენმა, აპირებს გააქტიუროს გამოსვლები ჯ. პარისის დასაცავად. მიმდინარე წლის შემოდგომაზე ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში გაიმართება საზოგადოებრიობის მიტინგები და კრებები, რომელთა დროს შეაგროვებენ ხელმოწერებს პეტიციაზე, რომ გაათავისუფლონ რიგითი ამერიკელების უფლებებისათვის მებრძოლი და მოუხსნან მას ყველა ბრალდება. ჯ. პარისის სიცოცხლე შეიძლება გადავარჩინოთ მხოლოდ ყველა იმათი მტკიცე მოქმედების შედეგად, ვისთვისაც ძვირფასია თავისუფლებისა და სამართლიანობის იდეალები, ხაზგასმით აღნიშნა ფ. ჩეპმენმა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში

მოლაპარაკება უნდა განახლდეს

ნიუ-იორკი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დეკოლონიზაციის კომიტეტმა არგენტინისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებს მოუწოდა განაახლონ მოლაპარაკება ფოლკლენდის (მალვინის) კუნძულების საკითხის მშვიდობიანი გზით უსწრაფესი გადაწყვეტისათვის. აქ დამთავრებულ ყოველწლიურ სესიაზე კომიტეტის მიერ მიღებულ რეზოლუციაში ხაზგასმულია, რომ საერთაშორისო გაერთიანება დაინტერესებულია, ასეთი მოლაპარაკების მოწყობით, რაც „ერთადერთი საშუალებაა იმისათვის, რომ ბოლო მოეღოს კოლონიალიზმის გამოვლინებას ფოლკლენდის (მალვინის) კუნძულების მიმართ".

არგენტინას არაერთგზის მოუწოდებია საერთაშორისო გაერთიანების ყურადღება იმისათვის, რომ ინგლისის მხარეს არ სურს გადაწყვიტოს კონფლიქტი მოლაპარაკების გზით. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში არგენტინის მუდმივი წარმომადგენლის ე. მანუელ მუნისის წერილში, რომელიც მან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ხ. პერეს დე კუელიარს გაუგზავნა, დიდ ბრიტანეთს ედება ბრალად ის, რომ პროგრესს ვერ მიაღწიეს ორი ქვეყნის წარმომადგენელთა ბოლო, ივლისის დამლევს ბერნში გამართულ შეხვედრაზე.

როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დეკოლონიზაციის კომიტეტში აღნიშნავენ, ფოლკლენდის კუნძულების საკითხი ისევ დღის წესრიგშია ინგლისის პოზიციის გამო, რომელსაც ჯიუტად არ სურს შეასრულოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეისა და უშიშროების საბჭოს რეზოლუციები, რომლებიც შეიცავენ მოწოდებას პოლიტიკური გზით გადაწყვიტონ ინგლის-არგენტინის კონფლიქტი. უფრო მეტიც, უგულებელყოფს რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებებს, დიდი ბრიტანეთის მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობს, რათა სამუდამოდ დამკვიდრდეს კუნძულებზე და გადააქციოს ისინი თავის უდიდეს სამხედრო ბაზად.

გახსენება

იმ დღეს გიორგი ჩვეულებრივად ადრიანად ადგა. ის იყო ქარხანაში უნდა წასულიყო, რომ კარს ფოსტალიონი მოადგა, წერილი მოუტანა.

ლენინგრადის ოლქის, ლიუბანის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ხელმძღვანელობა და ლენინგრადის სახალხო მოლაშქრეთა მე-80 ლიუბანის კუტუზოვის ორდენოსანი მსროლელი დივიზიის ვეტერანთა საბჭო მას გერმანელი ფაშისტებისაგან ქალაქის განთავისუფლების 40 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმში იწვევდა. წინასწარ კი სთხოვდნენ, როგორც ლიუბანის განთავისუფლებისათვის აქტიურ მებრძოლს, მონაწილეობა მიეღო ამ თარიღისადმი მიძღვნილი დოკუმენტური კინოფილმის გადაღებაში.

და აი, გიორგი ლიუბანში ჩავიდა. სინიავინოს მაღლობზე ომის წლებში გადატანილი ბრძოლების ადგილას, დღესაც დგას გ. მჭედლიშვილის ქვემეხი. კინორეჟისორმა ქართველ ვაჟკაცს სთხოვა, ქვემეხთან მისულიყო და წარმოესახა ის მომენტი, როცა იარაღს გასასროლად ამზადებდა. გიორგი დინჯად მოქმედებდა. იგი მემიზნე, გამმართველისა და მსროლელის როლსაც ასრულებდა, როგორც მაშინ, ორმოცი წლის წინათ. ფიქრით კი, იმ საშინელ ყინვიან დღეებს იხსენებდა, როცა ამ ადგილებში სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლები მიმდინარეობდა. რამდენი მისი თანამებრძოლი დაეცა აქ გმირის სიკვდილით, თავადაც ხომ სიკვდილს თვალებში ჩასცქეროდა.

კინოოპერატორი გულდასმით იღებდა გიორგის ყოველ მოძრაობას, მის ფიქრში წასულ, მოღუშულ სახეს. მერე კინოოპერატორმა ჯიბიდან ის სამახსოვრო საფოსტო ღია ბარათი-ნახატი ამოიღო, რომელიც მე-80 მსროლელი დივიზიის მებრძოლმა, მხატვარმა დ. კაპიცამ გ. მჭედლიშვილის 1943 წლის თებერვლის გმირულ ბრძოლებს მიუძღვნა და, რომელიც დღეს, როგორც უნიკალური ბარათი-ნახატი ლენინგრადის მუზეუმშია დაცული.

აი, ამ სურათის ამბავი. ამის თაობაზე ყველაზე უკეთ მე-80 მსროლელი დივიზიის, 88-ე საარტილერიო პოლკის ყოფილი შტაბის უფროსი, გადამდგარი პოდპოლკოვნიკი ნ. შუვალოვი მოგვითხრობს დივიზიის ისტორიისადმი მიძღვნილ ბროშურაში.

...როგორც საბჭოთა საინფორმაციო ცნობა იუწყებოდა, 1943 წლის იანვარში საბჭოთა ჯარებმა შეძლეს მტრის ძლიერი გამაგრების გარღვევა და დიდი წინააღმდეგობის დაძლევის შემდეგ დაიკავეს ქ. შლისელბურგი, გერმანელთა თავდაცვის გამაგრებული პუნქტები მარინო, მოსკოვსკაია, დუბროვკა, ლიპკი, მუშათა დასახლებანი, რკინიგზის სადგურები — სინიავინო და პოდგორნაია. ასე რომ, დიდი ბრძოლების შემდეგ 18 იანვარს ვოლხოვისა და ლენინგრადის ფრონტების ჯარები შეერთდნენ, და ამით ბლოკადა გარღვეული იქნა.

მე-80 მსროლელი დივიზია, რომლის რიგებშიც გ. მჭედლიშვილი იბრძოდა, ვოლხოვის ფრონტის მეორე დამკვრელურ არმიაში შედიოდა. დივიზიას, არმიის სხვა ნაწილებთან ერთად, სინიავინოს მაღლობის აღება დაევალა.

სინიავინოს მაღლობს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. ჩვენების მიერ ამ პუნქტის დაკავებით მტერს საშუალება ერთმეოდა კონტროლი გაეწია ბლოკადის გარღვეული ტერიტორიისათვის.

საბჭოთა ნაწილები გადავიდნენ შეტევაზე. ფაშისტები გააფთრებით იცავდნენ მაღლობს. დიდი ბრძოლების შემდეგ ჩვენმა ჯარებმა შეძლეს წინ წაწევა და თანდათანობით მაღლობს დაეპატრონენ. ღამემდე კიდევ. მეორე დღისათვის ყველა დიდ ბრძოლას ელოდა, რადგან მოწინააღმდეგე ყველაფერს ღონობდა მაღლობის დასაბრუნებლად. სწორედ მეორე დღეს გამართულ ბრძოლაში გამოიჩინა გ. მჭედლიშვილმა დიდი მამაცობა, რამაც იმ პერიოდში ფაქტობრივად გადაწყვიტა მაღლობის ბედი.

აი რას წერდა გაზეთი „კომსომოლსკაია პრავდა" მის გმირობაზე 1943 წლის 17 აპრილის ნომერში გამოქვეყნებულ კორესპონდენციაში — „არტილერისტის ძალა".

„...გვიან ღამემდე ქვეითი ჯარის ნაწილები მტრის გააფთრებულ იერიშებს იგერიებდნენ. უფროსი სერჟანტის გ. მჭედლიშვილის ბატარეის ქვემეხებს არ შეეძლოთ ქვეითებს დახმარებოდნენ, რადგან ისინი მაღლობის ფერდობის მეორე მხარეს იყვნენ განლაგებულნი. მაშინ მეხუთე ბატარეის არტილერისტებმა უშიშარი გადაწყვეტილება მიიღეს: ღამით, შენიღბულებმა, დიდი სიფრთხილით თოვლში ხელით აიტანეს ქვემეხები მაღლობზე და მტრის ნაწილებთან სულ ახლოს, 150 მეტრზე საცეცხლე პოზიციები მოაწყვეს.

მთელი ღამის ნამუშევარმა მებრძოლებმა დასასვენებლად სანგრებს მიაშურეს, ქვემეხებთან კი მორიგეები დატოვეს.

როგორც კი ინათა, მტერმა ისარგებლა დილის ნისლით და ჩვენს გამაგრებულ ნაწილებს ცეცხლი დაუშინა. ქვემეხები დადუმდნენ, ჩანს მორიგეები დაიხოცნენ. ვინც კი სანგრიდან ამოსვლას გაბედავდა, იქვე მოწინააღმდეგის ცეცხლით მოცელილივით ეცემოდა.

ამ კრიზისულ მომენტში გიორგი მჭედლიშვილი უეცრად ადგილიდან წამოიჭრა, „მომყევითო", დაიძახა, და ქვემეხისაკენ გაიქცა. მტრის ტყვიებმა მას ქურქის ქვედა კიდე დაუცხრილა, საბედნიეროდ, გიორგი უვნებელი დარჩა.

მჭედლიშვილმა თავის თანამებრძოლებთან ერთად, როგორც იქნა ქვემეხამდე მიაღწია. ირგვლივ მტრის ტყვია ზუზუნებდა, მაგრამ იგი ყურადღებას არაფერს აქცევდა. მტერი თანდათანობით ახლოვდებოდა, დაიგრიალა გიორგის ქვემეხმა და წინ წამოსული ფაშისტები თოვლში მოცელილი ჩაცვივდნენ. დაიგრიალა მეორე ქვემეხმაც და დანარჩენებმა უკან გაქცევა იკადრეს. მტერი ისევ შეტევაზე გადმოვიდა... მეორე ქვემეხი ჩაჩუმდა, მალე გიორგის თანაშემწეც მტრის ტყვიამ განგმირა. უფროსი სერჟანტი მარტო დარჩა.

ფაშისტებმა გვერდიდან სცადეს შემოვლა. ამ დროს გიორგის მსროლელთა სანგრიდან გამაფრთხილებელი ყვირილი შემოესმა: „ფრიცები, მარჯვნიდან!" მართლაც, მან შენიშნა, რომ მტრის დიდი ჯგუფი მისკენ მოემართებოდა. ამ მიმართულებით თავისი ქვემეხით სროლა უაზრობა იყო, რადგან ბექობი უშლიდა ხელს. ამიტომაც მსროლელებს გასძახა: დამეხმარეთო, და მეორე ქვემეხისაკენ გაიქცა. ბედად, ქვემეხი ვარგისი აღმოჩნდა. იმავე წუთში დაიჭექა გიორგის ქვემეხმა... და ფაშისტებმა გაქცევა იკადრეს.

ამ დროს მაშველი ძალაც მოვიდა. სხვა ბატარეებმაც გახსნეს ცეცხლი და გიორგიმ თავისუფლად ამოისუნთქა. მტერი უკუგდებულია. გახარებული თანამებრძოლები მას გამარჯვებას ულოცავენ. მჭედლიშვილის გმირობის ამბავი სწრაფად მოედო მთელ დივიზიას. ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისა და გმირობისათვის გ. მჭედლიშვილი მთავრობის საპატიო ჯილდოთი — სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს. მჭედლიშვილის გმირობით აღტაცებულმა დივიზიის მებრძოლმა, მხატვარმა დ. კაპიცამ, ამ ბრძოლის ამსახველი სურათი შექმნა. ფრონტელმა ფოტოგრაფმა ერმოლინმა ფირზე გადაიღო ეს ნახატი, შემდეგ იგი საფოსტო ღია ბარათის სახით გაამრავლეს.

სურათზე ასახულია ის მომენტი, როცა შეტევაზე გადმოსული ფაშისტები, მჭედლიშვილის მომაკვდინებელი ცეცხლის შემდეგ შეშინებულები გარბიან უკან. მრავალი მათგანი კი იქვე, წინა ხაზზე ეცემა. მარჯვნივ, კუთხეში ბინოკლით ხელში მომღიმარი გიორგია აღბეჭდილი. იგი გახარებული გასცქერის ბრძოლის ველს. იქვე წარწერაა — „გიორგი მჭედლიშვილი".

აი, ეს სურათი აღბეჭდა ფირზე კინოოპერატორმაც, როგორც სინიავინოს მაღლობზე გადახდილი ბრძოლების დოკუმენტური მასალა.

კინოობიექტივი აღბეჭდავდა გიორგისა და მის თანამებრძოლებს, ორდენებითა და მედლებით მკერდდამშვენებულ ადამიანებს, რომლებიც ათვალიერებდნენ ამ ადგილებს, სადაც მათმა ბრძოლები გადაიხადეს, ნახეს სავარჯიშო-საწვრთნელი მოედანიც, აი, აქ იყო გ. მჭედლიშვილის სროლით აღტაცებულმა მარშალმა ჟ. ვოროშილოვმა მას სნაიპერ-არტილერისტი რომ უწოდა.

სწორედ მისი სნაიპერული სროლის წყალობით იყო, რომ 1944 წლის იანვარში ლიუბანის მიმართულებით წარმოებული ბრძოლების დროს, გიორგის 40 ჭურვის გასროლა დასჭირდა, რომ ფაშისტების ძლიერი სიმაგრისათვის პირდაპირ სათოფურებში მოეხვედრებინა და ამით მათი წინააღმდეგობა გაეუვნებელყო. ამ ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის იგი მეორე ხარისხის დიდების ორდენით დააჯილდოვეს.

ბევრი რამ ჰქონდათ მოსაგონარი ომგადახდილ თანამებრძოლებს, რომლებიც უკვე რამდენი წელია იკრიბებიან ერთად: იხსენებენ დაღუპულ თანამებრძოლებს, შეხვდრები აქვთ ახალგაზრდობასთან, უამბობენ მათ გარდასულ ბრძოლებზე და მოუწოდებენ, ყველაფერი იღონონ, რომ აღარასოდეს განმეორდეს საძულველი ომი, რომ მათმა შვილებმა, შვილიშვილებმა იცხოვრონ მშვიდად, ბედნიერად.

დაე, მუდამ ჩვენს სამშობლოს უღრუბლო მზე დანათოდეს!

ლ. ხუბულური.

ვაჟკაცსა გული რკინისა...

სურათზე: მხატვარ დ. კაპიცას მიერ 1943 წლის თებერვალში შესრულებული ღია ბარათი-ნახატი, რომელიც გ. მჭედლიშვილის გმირულ ბრძოლას მიეძღვნა.

რასა ველოსიპედით სეირნობს

ლიბიის პატარა ქალაქ ნიმენჩინის ბავშვთა აღდგენითი მკურნალობის სავადმყოფოს მთავარმა ექიმმა ა. იმბრასასმა ოთხი წლის რასა პაკეიავიჩიუტეს უწოდა გოგონა, რომელსაც ბავშვობა დაუბრუნა მრავალი საბჭოთა ადამიანის ესაზღვრო ჰუმანიზმმა. ახლა მისი მეთვალყურეობის ქვეშ არის რასა, რომელსაც ერთი წლის წინათ მოსკოვში გაუკეთეს ორივე ფეხის ტერფის მახორცების უნიკალური მიკროქირურგიული ოპერაცია.

კითხვაზე, თუ როგორ გრძნობს თავს რასა, ა. იმბრასასმა მოედნისკენ მიგვახედა, საიდანაც ბავშვების მხიარული ჟრიამული ისმოდა.

— აბა, გამოიცანით, რომელია რასა?

ეს იოლი როდი იყო: გოგონა არაფრით განსხვავდება სხვა ბავშვებისგან, ისიც თავისი თანატოლებივით ველოსიპედს დაარბენინებდა.

— ტერფების მგრძნობიარობის სრული აღდგენისათვის ჯერ კიდევ დროა საჭირო, — თქვა ექიმმა. — სამედიცინო რეაბილიტაციის კურსთან ერთად არანაკლებ მნიშვნელოვან როლს ასრულებს სხვა ბავშვებთან მისი ურთიერთობაც.

რასასთან მოდიან ცნობილი მედიკოსები, ჩამოდის ხოლმე კოლმეურნეობა „ვადაქტაის" თავმჯდომარე ვ. ბლოტნისი, რომელმაც უბედურების დღეს იგი რაიონის სავადმყოფოში მიიყვანა. მისი ჯანმრთელობით დაინტერესებულნი არიან სხვადასხვა ეროვნების, პროფესიისა და თანამდებობის ადამიანები, რომლებმაც დახმარების ხელი გაუწოდეს ჩვენი ქვეყნის დედაქალაქიდან ლიტვის პატარა სოფელს. გოგონა ხშირად იხსენებს „თავის რამაზს" — მოსკოველ მიკროქირურგ რ. დათიაშვილს, რომელმაც უნიკალური ოპერაცია გაუკეთა.

ვ. გაბილენე,
ხაკდენის კორ.
ნიმენჩინი, ლატვის სსრ.

წერილი ტულიდან

ეს წერილი, რომელიც რაიონულმა გაზეთმა „განთიადმა" დასტამბა, ქ. ტულიდან მიიღეს საქართველოს კომპარტიის ონის რაიკომში. მის ავტორს ანატოლი გრაჩკოვს ხელში კალამი აღებინა ქვეყნის საერთო სატკივარმა — მოსახლეობის მიგრაციამ, რომელსაც აქტიურად ებრძვის ონის სახალხო თეატრის კოლექტივი. აი, რას წერს იგი:

„ცენტრალური ტელევიზიით ვუყურე კინოფილმს „თეატრი მთაში". მომეწონა თქვენი რაიონის სახალხო თეატრი, მისი ამაგდარი რეჟისორი გოგა ჯაფარიძე. ონში არასოდეს ვყოფილვარ. კარგია, რომ თქვენში ასე უყვართ სახალხო თეატრი.

მე არც თეატრმცოდნე ვარ და არც ხელოვანი. ერთი ჩვეულებრივი ტულელი მუშაკი ვარ. უნდა გამოგიტყდეთ, რომ ძალიან მომეწონა წარმოდგენა ღია ცის ქვეშ. არის აქ რაღაც ამაღელვებელი, მგზნებარე. ქვეყნის საერთო სატკივარზე სპექტაკლი სრულ სიმართლეს ლაპარაკობს სცენიდან, თან მოურიდებლად, მძაფრად, მწვავედ. თქვენი სახალხო თეატრი მეტად დიდ და საჭირო საქმეს აკეთებს. დიდი მადლობა ამისათვის".

ვ. ცირეკიძე,
„კომუნისტის" ხაკ. კორ.



„კომუნისტის" ფოტოკონკურსი

ჩიტების დამპურებელი.

ი. ბაევის ფოტო.

მძღოლი, გზა, ტრანსპორტი

ოთხ წელზე მეტი გავიდა, რაც ჩვენს ქვეყანაში მოქმედებს საგზაო მოძრაობის ახალი წესები, მაგრამ საავტომობილო ტრანსპორტის მოძრაობის ინტენსიურობის მკვეთრმა ზრდამ და ავტომოტოტრანსპორტის ტექნიკური მაჩვენებლების გაუმჯობესებამ დღის წესრიგში კვლავ დააყენა საგზაო მოძრაობის წესების გადასინჯვა და მათში სათანადო კორექტივებისა და დამატებების შეტანა. ამიტომ მიმდინარე წლის 1 სექტემბრიდან ძალაშისილი ხდება 1979 წელს დამტკიცებულ მოძრაობის წესებში შეტანილი ცვლილებები და დამატებანი.

დამატებები და შესწორებები უშუალოდ შეეხო სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკურ მდგომარეობას და ალჭურვილობას, აგრეთვე მძღოლთა ზოგად მოვალეობებს.

შევეხებით იმ ეგრეთ წოდებული „წვრილმანი" ავარიების მასალების შედგენის და ამ მასალების გაფორმების წესებში შეტანილ ცვლილებებს, რომლებიც გამოწვეულია საგზაო მოძრაობის წესების დარღვევით და დამნაშავენი პასუხს აგებენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1983 წლის 15 მარტის ბრძანებულების „გზებზე მოძრაობის წესების დარღვევისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ" მე-4 მუხლის შესაბამისად. ეს ის საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევაა, რომელსაც არ მოჰყოლია ადამიანთა დაშავება და არც მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი.

სადღეისო კანონმდებლობის საფუძველზე სასამართლო პრაქტიკაში მნიშვნელოვნად ითვლება ის ზარალი, რომლის თანხა 450-500 მანეთს აღემატება და მხოლოდ ამ შემთხვევაში დგება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ს.ა. ჩვენ კი ამჟამად საქმე გვაქვს იმ საგზაო შემთხვევებთან, რომლებიც ითვალისწინებენ ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას, — როცა შეჯახებულია ავტომობილის ფრთა, ჩამსხვრეულია მაშუქები ან მინები; უმნიშვნელოდ დაზიანებულია ძარა და სხვა, ე. ი. საერთო მატერიალური ზარალი არ აღემატება 450-500 მანეთს და უმნიშვნელოა.

ეს სიახლე დაემატა საგზაო მოძრაობის წესების მეორე მუხლის მეექვსე პუნქტს „საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის მონაწილე მძღოლები ვალდებულნი არიან" და ახალ აბზაცად შემდეგი შინაარსით არის წარმოდგენილი — თუ საგზაო შემთხვევა წარმოიშვა გზებზე მოძრაობის წესების დარღვევის შედეგად, მაგრამ არ მიაყენა ზიანი ადამიანთა ჯანმრთელობას, ან არ გამოიწვია მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი, მძღოლთა მიერ დამდგარი მდგომარეობის ერთობლივი შეფასების შემთხვევაში შემთხვევის ადგილიდან შემდგომი წასვლის საშუალება ეძლევა დაზოგილი დროის ხარჯზე ყურადღება მიაქციოს საგზაო მოძრაობის წესრიგის განმტკიცებას.

მიუხედავად იმისა, რომ საგზაო მოძრაობის წესებში შეტანილი აღნიშნული დამატება გასაგებად არის გადმოცემული, მაინც მოითხოვს ზოგიერთ განმარტებას.

ვთქვათ, მოხდა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა.

მძღოლები უპირველეს ყოვლისა უნდა გაჩერდნენ და მიიღონ ზომები მოძრაობის სხვა მონაწილეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის, დარწმუნდნენ, რომ დაშავებული არ არიან ადამიანები. თუ არავინ დაშავებულა და მატერიალური ზარალიც უმნიშვნელოა, რისთვისაც ბრალეული მძღოლი მხოლოდ ადმინისტრაციულად აგებს პასუხს, სწორედ ამ შემთხვევაში მძღოლებმა უნდა გაარკვიონ, თუ კონკრეტულად ვისი ბრალია, რატომ მოხდა ავარია.

საჭიროა ყველამ იცოდეს

სიახლე საგზაო მოძრაობის წესებში

თუ მძღოლები შეთანხმდნენ, მაშინ ისინი იმოქმედებენ ახალი წესებით. თუ მდგომარეობის შეფასება, ზარალის განსაზღვრა და ბრალეულობის საკითხის გარკვევა მძღოლთა შორის უთანხმოების იწვევს, მაშინ, როგორც ადრე, მოქმედი წესები ითხოვდნენ, მათ უნდა დაუცადონ სახელმწიფო ავტოინსპექციის მუშაკის მოსვლას.

განხილული დამატების გარდა დანარჩენი ცვლილებები და დამატებები ეხება სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკურ მდგომარეობას და აღჭურვილობას, ამიტომ ეს დამატებები და ცვლილებები კარგად უნდა შეისწავლონ არა მარტო მძღოლებმა, არამედ ავტოსატრანსპორტო მეურნეობების და გარაჟების ინჟინერ-ტექნიკურმა პერსონალმაც

ნიკურ ხამართულობას, რადგან, როგორც ითქვა, ავტომანქანის ნებისმიერი მექანიზმისა თუ დეტალის უწესივრობამ შესაძლებელია საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა გამოიწვიოს.

მოთხოვნის ახალი ნორმები არსებითად განსხვავდება ძველი ნორმებისაგან, ზოგი კი პირველად არის წარმოდგენილი და განსაკუთრებულ სიახლეს წარმოადგენს. მნიშვნელოვნად გამახვილდა ყურადღება ძრავის მიერ გამონაბოლქვ აირებში ნახშირორჟანგის შემცველობისადმი, რაც არავითარ შემთხვევაში არ უნდა აღემატებოდეს სტანდარტით დაშვებულ ნორმებს, რადგან საქმე ეხება გარემოს დაცვას, იმ ჰაერის ჯანის სისუფთავეს, რომელსაც ჩვენ ყველანი ვსუნთქავთ.

ახალი დამატების შესაბამისად უსაფრთხოების ქამრები გამართული უნდა იყოს და აუცილებლად იყენებდნენ, სავალდებულოა ავტომობილებში და ავტობუსებში სათანადო ადგილას ეჭონოს აფთიაქი და ცეცხლსაქრობი, ტრანსპორტს ჰქონდეს რიგიანი იერი და იყოს კარგად შეღებილი. აკრძალულია ისეთი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლოატაცია, რომლებზედაც დაყენებულია სხვა მარკისა და მოდელის ავტომობილების დეტალები, რითაც მოცემული მოდელის ავტომობილს ეცვლება გარეგნული სახე, ასევე თუ სახელმწიფო ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე არ მუშაობს ან დაუპლომბავია სპიდომეტრი.

პირველად მიექცა ყურადღება ავტომანქანებზე დაყენებულ დეკორატიულ ზიზილ-პიპილებს, რითაც ბოლო ხანს გატაცებულია ბევრი ავტომფლობელი. თუ ასეთი დეკორატიული მოწყობილობის დამატებითი საგნები ზღუდავენ მძღოლის ხილვადობას, აუარესებენ მინების გამჭვირვალობას, აღიზიანებენ მოძრაობის სხვა მონაწილეებს, ასეთი ავტომობილის ექსპლოატაცია აკრძალულია აღნიშნული დეკორატიული დამატებითი დეტალების მოხსნამდე.

ძირითადად ასეთი შინაარსისაა საგზაო მოძრაობის წესების ახალი დამატებები და ცვლილებები.

შესაძლოა ერთი შეხედვით, ზოგიერთ მძღოლს თუ საგზაო მოძრაობის წესებით დაინტერესებულ პირს ზედმეტად მოეჩვენოს მოძრაობის წესების ასეთი ხშირი ცვლილებები, მათი ხშირი გადახალისება, მაგრამ ეს ცხოვრებით არის ნაკარნახევი. იცვლება საგზაო პირობები და სიტუაციები, სატრანსპორტო საშუალებათა დინამიკურობა და ტექნიკური აღჭურვილობა, ყოველდღიური პრაქტიკა სულ ახალ მოთხოვნებს უყენებს მოძრაობის...

ვ. ციხაძე,
საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციის მოძრაობის უფროსი

ხელოვნების ქრონიკა

შეხვედრა ლოლიტა ტორესთან

კინოფილმის „სიყვარულის ასაკის" პრემიერიდან გასული ოცდაათი წლის შემდეგაც მთავარი როლის შემსრულებელი ლოლიტა ტორესი ძველებურად უყვარს საბჭოთა მაყურებელს. პოპულარული არგენტინელი მომღერალი და კინომსახიობი კვლავ ჩამოვიდა გასტროლებზე ჩვენს ქვეყანაში.

— მახარებს ასეთი ინტერესი, მაგრამ ამასთან ერთად, რა თქმა უნდა, ბევრსაც მავალებს, — თქვა ლოლიტამ. — საბჭოთა მაყურებლის წინაშე გამოსვლა ხომ მუდამ პასუხსაგები გამოცდაა, იგი კეთილმოსურნეა, ძალზე მუსიკალური და ამასთან — მეტად მომთხოვნიც.

ლოლიტა ტორესი ჩვენს ქვეყანაში პირველად ჩამოვიდა 1963 წელს მოსკოვის საერთაშორისო კინოფესტივალზე. მას შემდეგ მრავალგზის ესტუმრა სსრ კავშირს და კონცერტები გამართა.

— ამჯერად ჩამოვიტანე პროგრამა, რომელშიც შევიტანე არგენტინელ კომპოზიტორთა პოპულარული სიმღერები და ხალხური სიმღერები, — თქვა შემდეგ მსახიობმა. — რა თქმა უნდა, შევასრულებ სახელგანთქმულ „კომბრასიტას", რომელსაც საბჭოთა კავშირში კონცერტებზე მთელი დარბაზი მღერის ხოლმე. და კიდევ, მოვამზადე მუსიკალური სუვენირი — სპეციალური ნომერი, რომლებშიც ჩავრთე სიმღერები „მოსკოვური საღამოები", „კალინკა", „შავი თვალები". ეს სიმღერები ამას წინათ შევასრულე სამშობლოში გამართულ კონცერტზე, სადაც გამოვედი ფერადოვან რუსულ კოსტიუმში, რომელიც საბჭოთა მეგობრებმა მაჩუქეს. შინ სათუთად ვინახავ მათ სხვა საჩუქრებსაც — რუსულ მატრიოშკებს, სომხურ ლითონჭანდაკებებს, როსტოველ ხის კოვზებს და ტულის სამოვარს.

ლოლიტა ტორესს ხუთი შვილი ჰყავს, სულ ახლახან იგი ბებია გახდა — 22 წლის ქალიშვილმა ანჟელიკამ მას მშვენიერი ბუთხუზა ბიჭი — პედრო აჩუქა.

— რა თქმა უნდა, ოჯახს ბევრი საზრუნავი აქვს, — აგრძელებს თანამოსაუბრემ, — მაგრამ ხელოვნებას თავს ვერ ვანებებ. ხაიდაც ვმართავ კონცერტებს, მიმყავს სატელევიზიო გადაცემები. ბუენოს-აირესის მუსიკალური თეატრის სცენაზე ვასრულებ მთავარ როლს ხალხური იუმორით აღსავსე მუსიკალურ კომედიაში. ჩვენთან ერთად ამ დადგმაში მონაწილეობს 16 წლის მარიანა,— ერთადერთი ის გაჰყვა ჩემს გზას. იმის გამო, რომ სპექტაკლებში მონაწილეობს, სამწუხაროდ, ჩემმა ქალიშვილმა ვერ შეძლო ჩემთან ერთად მოსკოვში ჩამოსვლა. ეს ბედნიერება წელად ხვდა ვაჟიშვილს — მარსელოს. მოხარული ვარ, რომ შემიძლია მას ვუჩვენო საბჭოთა კავშირის დედაქალაქი, მსოფლიოს ერთ-ერთი უმშვენიერესი ქალაქი და, რა თქმა უნდა, გავაცნო თქვენი ახალგაზრდობა, რომელიც მოიცავს თავისი სულიერი მშვენიერებითა და მიზანსწრაფულობით.

ი. ვექსლერი,
ხაკდენის კორ.

მოსკოვი.

კომუნისტი
ჩვენი მისამართი და ტელეფონებია
380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14.
რედაქცია:
რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-83-09, პასუხისმგებელი მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 99-87-61, მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის პროპაგანდის — 93-22-93, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 93-20-34, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-55, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, კორესპონდენტთა ქსელის და პრესის მიმოხილვის — 99-05-29...

მეგობრობა-84

სპორტის მოყვარულთათვის დიდი მოვლენა გახდა მოძმე ქვეყნების სპორტსმენთა შეჯიბრებები „მეგობრობა-84". ამ ასპარეზობათა დიდი ნაწილი უკვე დამთავრდა და ახლა შეიძლება გადავხედოთ მართლაც მრავალს. მოქმედ სტატისტიკას: შეჯიბრებათა სტარტზე გამოვიდნენ 50 ქვეყნის სპორტსმენები. მარტო მოსკოვსა და ტალინში 2364 ათლეტმა იასპარეზა. მსოფლიო მიღწევათა ცხრილში დღეისათვის შეტანილია 18 შესწორება, მათ შორის 12 ოლიმპიურ დისციპლინებში. გარდა ამისა, დამყარდა 17 ევროპის რეკორდი, 101 — ეროვნული, მათ შორის 27 საკავშირო რეკორდი.

უპირველეს ყოვლისა ეს იმის თქმის საფუძველს იძლევა, რომ „მეგობრობა-84"-ის შეჯიბრებებმა სპორტსმენებს საშუალება მისცა ეჩვენებინათ თავიანთი ოსტატობა, დაემტკიცებინათ, რომ ისინი მზად იყვნენ მონაწილეობა მიეღოთ XXIII ზაფხულის ოლიმპიურ ასპარეზობებში. მათ რომ ოლიმპიადაში ვერ მიიღეს მონაწილეობა, ამის მიზეზი ყველამ იცის: ამაში ბრალი მიუძღვის ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციას.

„მეგობრობა-84"-ის შეჯიბრებებისადმი დიდი ინტერესი გამოიჩინეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლებმა. მაგალითად, მოსკოვში მიმდინარე ასპარეზობებს აშუქებდა 60 ქვეყნის ტელევიზიის, რადიოს, საინფორმაციო სააგენტოების, გაზეთებისა და ჟურნალების 1500-მდე კორესპონდენტი.

ყველა, ვინც კი თვალს ადევნებდა და პრესაში აშუქებდა „მეგობრობა—84"-ის შეჯიბრებებს, არაერთხელ შენიშნავდა, რომ ხშირად გამარჯვებულები და პრიზიორები უკეთესი შედეგებით ამთავრებდნენ თავიანთ გამოსვლებს, ვიდრე ლოს-ანჯელესის ოლიმპიადის მონაწილენი. მაგალითად, მძლეოსნებმა ოლიმპიური დისციპლინების ნახევარზე მეტში უკეთესი შედეგები მოიპოვეს, ვიდრე ოლიმპიადის მონაწილეებმა, სროლაში კი ცხრა დისციპლინიდან რვაში „მეგობრობა-84"-ის შეჯიბრებაში მოასპარეზეებმა გაცილებით უკეთესი შედეგები მოიპოვეს.

სატურნირო ორბიტა

გასწორება

რედაქტორის მოადგილე
გ. ნადირაძე

მოსკოვი

ჩვენს ტელეეკრანებზე

თბილისი